

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

ევროპის უნივერსიტეტი

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

2018-2024

სარჩევი

შესავალი	3
მისია და ხედვა	6
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები	
1 უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის მიზნით, უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა	8
2 უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეთი ჩართულობა	11
3 ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის ხელშეწყობა	15

შესავალი

ინტერნაციონალიზაცია ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. არსებითად, ის ლოკალური სწავლებისა და კვლევისთვის საერთაშორისო ხასიათის მიცემას გულისხმობს, რაც გაზრდის ჩვენი კურსდამთავრებულებისა და მკვლევრების კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ და აღმოსავლეთევროპულ დონეზე.

მთავარი აქცენტები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გულისხმობს:

- ევროპის უნივერსიტეტი მიმზიდველი იქნება სწავლებისა და კვლევის კუთხით, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო აუდიტორიისთვის.
- ჩვენი ინტერკულტურული გარემო განვითარების ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის ჩვენს საერთაშორისო სტუდენტებსა და მკვლევრებს.
- საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები უფრო წარმატებული იქნებიან.

საერთაშორისო პროფილი

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო პროფილის განვითარება უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო და ადგილობრივ ასპარეზზე რეიტინგის, რეპუტაციისა და ნდობის გასაუმჯობესებლად. ამ კუთხით, უნივერსიტეტი ახორციელებს რიგ ღონისძიებებს, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული.

პროფილური პარტნიორობა სტრატეგიულ პარტნიორებთან

სტრატეგიული პარტნიორობა გულისხმობს განსაკუთრებულ თანამშრომლობას მართვის, სწავლებისა და კვლევის კუთხით იმ უნივერსიტეტებთან, რომელთაც საერთო ხედვა აქვთ ამ საკითხებზე. სტრატეგიული პარტნიორობა, ხშირად, არსებული პარტნიორული ურთიერთობებისთვის განსაკუთრებული ხასიათის მიცემას გულისხმობს.

სტრატეგიული პარტნიორობის მიზნებია:

- პარტნიორებთან ერთად, მართვის პროცესების სრულყოფა
- სწავლების მაღალ დონის მიღწევა
- საერთაშორისო კვლევით პროექტებში წარმატებული ჩართულობა

პროფილური პარტნიორობა ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან

ევროპულ და ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სივრცესთან პარტნიორობა პროფილური პარტნიორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ამ სახის პარტნიორობის შესაძლო შედეგებია ცნობადობის გაზრდა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და სასწავლო და კვლევითი პროექტების ერთობლივად ინიცირება.

გამჭოლი ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაციის პროცესის წარმმართველი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურია, თუმცა, არსებითად, ის იწყება, ვითარდება და გრძელდება პროფესორების, პროგრამებისა და ფაკულტეტების დონეზე. ყველა ღირებული ინიციატივა ფაკულტეტების დონეზე განხილული და მხარდაჭერილი

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური
იქნება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ პროგრამული ბიუჯეტის
ფარგლებში.

გამჭოლი ინტერნაციონალიზაცია მოიცავს საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა
სფეროს.

ევროპის უნივერსიტეტის მისია და ხედვა

მისია

ევროპის უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა.
- სტუდენტზე ორიენტირებული ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება.
- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა.
- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ფარგლებში ახალი ცოდნის შექმნა და გაზიარება.
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა.
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.

ხედვა

2024 წლისათვის ევროპის უნივერსიტეტი არის ღია აკადემიური სივრცე, რომელიც სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდებითა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და პროფესიულ სივრცეში აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამებით ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის. აგრეთვე აკადემიური პერსონალისა

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და სტუდენტების მიერ აქტუალური კვლევითი პროექტების განხორციელებით, შემოქმედებითი საქმიანობითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო სერვისების განვითარებით პასუხობს უნივერსიტეტისა და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

დასახული მიზნებისათვის უნივერსიტეტი აწვითარებს თანამედროვე, კარგად აღჭურვილ, კომფორტულ და ადაპტირებულ სასწავლო, სამეცნიერო და სამუშაო ინფრასტრუქტურას, ინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას, იზიდავს და ეფექტიანად ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსებს, ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და თვითრეალიზებას, აგრეთვე ინტერნაციონალიზაციის პროცესში აქტიური ჩართულობით ახალისებს აკადემიურ და სტუდენტურ მობილობას.

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტი ხელს უწყობს დაინტერესებულ პირთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებას, ჩართულია გარემოს დაცვით და საზოგადოების განვითარებაზე მიმართულ საქმიანობებში, მუდმივად ზრუნავს საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტსგარეთა საზოგადოების კეთილდღეობაზე.

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

1 უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვის მიზნით, უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა

ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს, რომ სასწავლო პროცესსა და კვლევით საქმიანობაში კვალიფიციური უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აქტიურად იქნება ჩართული.

დაგეგმილი შედეგები:

- სწავლა/სწავლების და კვლევის დონის ამაღლების ხელშეწყობა
- საერთაშორისო აკადემიური კავშირების გაღრმავება
- ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება
- სწავლა/სწავლებისა, კვლევისა და ინსტიტუციური განვითარების ახალი პერსპექტივების გაჩენა
- ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება

სწავლა/სწავლებისა და კვლევის დონის ამაღლების ხელშეწყობა

2016 წლიდან, ევროპის უნივერსიტეტს უკვე აქვს გამოცდილება აკადემიური პროგრამების შინაარსთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი სასერტიფიკატო კურსების სახით, სასწავლო პროცესში ჩართოს უცხოელი აკადემიური პერსონალი. ამ კუთხით, არსებობს გარკვეული გამოცდილება და შედეგები, რაც ჩვენი კურსებით სტუდენტების კმაყოფილების ზრდასა და ბრენდის ცნობადობის გაუმჯობესებას უკავშირდება. კონკურსის წესით შერჩეული კურსის მონაწილეებს შორის ყოველთვის არიან სხვა წამყვანი ქართული სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები, პრაქტიკოსები, სამთავრობო

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, რაც ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. თუმცა, მოსალოდნელი შედეგი ითვალისწინებს, რომ უცხოელი პერსონალი არა მხოლოდ პრესტიჟული სასერტიფიკატო კურსების სახით იქნება ჩართული სასწავლო პროცესში, არამედ ასევე სავალდებულო და არჩევითი კურსების წამკითხველთა სახით. ეს ხელს შეუწყობს ევროპის უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების დონის ამაღლებას მაღალკვალიფიციური ცოდნის გადაცემისა და გაზიარების, დასავლური პედაგოგიური გამოცდილების წარმოდგენის, ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ პერსონალს შორის იდეებისა და პედაგოგიური გამოცდილების ურთიერთგაცვლის, დაკვირვებისა და უკუგების გზით.

საერთაშორისო აკადემიური პერსონალის ჩართვა ასევე დადებითად აისახება ევროპის უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაზე, აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო დიალოგის გაღრმავების, ერთობლივი კვლევების წარმოების, დასავლურ სამეცნიერო წრეებთან კავშირების გაღრმავების, საგრანტო განაცხადის, კვლევის დიზაინისა და მეთოდების საკითხებზე გამოცდილების გაზიარების კუთხით.

საერთაშორისო აკადემიური კავშირების გაღრმავება

უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო აკადემიური კავშირების დამყარებას უცხოურ უნივერსიტეტებთან. ამ კუთხით, არსებობს გარკვეული გამოცდილება, რომლის გაღრმავება აუცილებელია. აკადემიური კავშირები გულისხმობს, როგორც ინსტიტუციურ დონეზე თანამშრომლობას, ასევე ინდივიდუალური აკადემიური კავშირების ჩამოყალიბება-განვითარების ხელშეწყობას ადგილობრივ და საერთაშორისო პერსონალს შორის.

ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება

უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართულობა საუკეთესო საშუალებაა ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრების კუთხით. გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურის მიმართ ინტერესი, ხშირად ერთ-ერთი მთავარი ბიძგია საერთაშორისო პერსონალის ჩართულობის პროცესის დასაწყებად. ამ

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური კუთხით, საჭიროა, რომ ინტერკულტურული გამოცდილების გაზიარების პროცესში სტუდენტებთან ერთად, ასევე აქტიურად ჩაერთოს უნივერსიტეტის პროფესორა და ადმინისტრაცია, რათა ამ პროცესის შედეგები ეფექტიანი და მასშტაბური იყოს.

სწავლა/სწავლებისა, კვლევისა და ინსტიტუციური განვითარების ახალი პერსპექტივების გაჩენა

სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში ჩართულობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა კარგი კავშირების ქონა უცხოურ პროფესორასთან და უნივერსიტეტების ადმინისტრაციასთან. ამ თვალსაზრისით, უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართულობა და მათთან ერთად საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა აფართოებს სწავლა/სწავლებისა, კვლევისა და ინსტიტუციური განვითარების პერსპექტივებს.

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესება

როგორც გამოცდილება აჩვენებს, უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართულობა ზრდის ევროპის უნივერსიტეტის, როგორც ბრენდის იმიჯს, სხვა წამყვანი ქართული უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის. გარდა ამისა, აკადემიური თანამშრომლობა ასევე უკავშირდება საერთაშორისო ცნობადობის გაზრდას, რაც შეიძლება გამოიხატოს რეიტინგის, პოპულარულობისა და ინტერესის გაზრდაში ჩვენი უნივერსიტეტისადმი.

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

2 უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეტი ჩართულობა

ევროპის უნივერსიტეტის რებრენდინგი განხორციელდა 2015 წელს. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი დაინიშნა 2017 წლის მარტში. შესაბამისად, რებრენდირებული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ისტორია ერთ წელს ითვლის. ამ მოკლე პერიოდში განხორციელდა პროფესორებისა და სტუდენტების მოკლევადიანი მობილობა პარტნიორ უნივერსიტეტებში, ხელი მოეწერა დოკუმენტებს ორმხრივი და ერაზმუს+ თანამშრომლობის ფარგლებში, დაგროვდა ინტერნაციონალიზაციის გარკვეული გამოცდილება კავშირების, პროცესის მართვის და ინტერნაციონალიზაციის ფორმალიზაციის დონეზე. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეტი ჩართულობა, უპირველესად, ჩვენი სტუდენტებისა და პროფესორებისთვის მეტი და ნაყოფიერი საერთაშორისო გაცვლის შესაძლებლობის მიცემას გულისხმობს. თუმცა, გამჭოლი ინტერნაციონალიზაციისთვის, ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის ჩართულობა.

გაცვლით პროგრამებში მეტი ჩართულობის მისაღწევად, მნიშვნელოვანია შემდეგი მექანიზმები:

საინფორმაციო ინფრასტრუქტურა

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური აქამდეც უწევდა კონსულტაციებს სტუდენტებსა და პროფესორებს ინდივიდუალურად, საინფორმაციო შეხვედრების, ვებგვერდის, სოციალური ქსელის და სიახლეების ბლოგის მეშვეობით. განახლებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა მოიცავს ისეთ ახალ სერვისებს, როგორცაა *ინტერკულტურული ტრენინგები* და *მენტორის პროგრამა* საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების სტუდენტებისა და პროფესორებისთვის. ეს ორი

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

სერვისი ახლად დანერგილია და საჭიროებს გარკვეულ დროს, ადამიანურ და სხვა სახის რესურსებს სრული ეფექტურობისთვის.

ინტერკულტურული ტრენინგის მიზანია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის სტუდენტებს ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესსა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვაში, ასევე მიაწოდოს აუცილებელი ინფორმაცია ქვეყნის შესახებ.

მენტორის პროგრამა მოიცავს 1 ან 2 სემესტრით ჩამოსული საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის სტუდენტების მხარდაჭერას საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, სხვა საუნივერსიტეტო ერთეულებისა და მაღალი კურსის სტუდენტების მეშვეობით.

საერთაშორისო ვიზიტორის პროგრამა

საერთაშორისო ვიზიტორის პროგრამა მოიცავს: უცხოელი პროფესორების მოწვევას მოკლევადიანი (3-7 დღიანი) და გრძელვადიანი (1-3 თვე) სასწავლო კურსების წასაკითხად და სამეცნიერო დიალოგს, სადაც მოკლე ვიზიტის განმავლობაში (3-5 დღე) წამყვანი უცხოელი მკვლევარები უნივერსიტეტის აკადემიურ საზოგადოებასთან ერთად წამყვან სამეცნიერო თემებს განიხილავენ. პროგრამა საშუალებას აძლევს საუნივერსიტეტო საზოგადოებას, უფრო ინტენსიურად ჩაერთოს დიალოგში უცხოურ აკადემიურ საზოგადოებასთან ორმხრივი ან/და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.

აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ვიზიტები

ევროპის უნივერსიტეტის აფილირებულ პერსონალს შეუძლია განაცხადით მიმართოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს შესაბამის საერთაშორისო კონფერენციასთან, სემინართან, სხვა საერთაშორისო სასწავლო ან კვლევით ღონისძიებასთან დაკავშირებით. განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ვიზიტი შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდეს.

ერაზმუს+ და ვიშეგრადის ფონდისა და სხვა საერთაშორისო გრანტები

გაცვლით პროგრამებში მეტი ჩართულობის კუთხით, უნივერსიტეტს ასევე აქვს შესაძლებლობა უფრო ეფექტურად გამოიყენოს ერაზმუს+ და ვიშეგრადის ფონდის და სხვა საერთაშორისო პროგრამების გრანტები. ამ ეტაპზე, ხელმოწერილია სტუდენტთა და პროფესორთა მობილობასთან დაკავშირებით (K1), ინსტიტუციური თანამშრომლობის ხელშეკრულება დობროვა გორნიცასა და სიდილიცას უნივერსიტეტებთან. ზოგადად, ვებგვერდის, სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის, სიახლეების ბლოგის და საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური რეგულარულად აწვდის ინფორმაციას საუნივერსიტეტო საზოგადოებას საერთაშორისო გრანტების შესახებ.

გაცვლითი პროგრამები ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში

ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ, ზოგ შემთხვევაში, უფასოდ ან ნაწილობრივი დაფინანსების ფარგლებში ისწავლონ პარტნიორ უნივერსიტეტებში. ამ კუთხით, სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ (ვისაც GPA-ის და ენობრივი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, შეუძლია დაძლიოს უცხოური უნივერსიტეტის პროგრამა) გამგზავრებისა და ცხოვრების თვითდაფინანსების პრობლემატურობა გარკვეულ სირთულეებს ქმნის. თუმცა, ინტერნაციონალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, 2018 წლის შემოდგომიდან, დაგეგმილია, რომ უნივერსიტეტი ცალკეულ შემთხვევებში მაღალი აკადემიური მოსწრებისა და შესაბამისი ენობრივი უნარების მქონე სტუდენტების სწავლას უცხოურ უნივერსიტეტებში დააფინანსებს. ეს ასევე ეხება აფილირებული პროფესორისა და ადმინისტრაციის წევრებს გაცვლას მოკლევადიანი (3-7 დღე) პერიოდით.

ვირტუალურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა

ვირტუალური გაცვლითი პროგრამები სიახლეა საერთაშორისო აკადემიური მობილობის სფეროში, თუმცა, ის უკვე არსებობს ერაზმუს+ ფარგლებში შეზღუდული სახით, სადაც ჩართვა ასევე შესაძლებელია. გარდა ამისა, უნივერსიტეტი გეგმავს გამოცდილების შესწავლის შემდეგ, ჩაერთოს სხვა მნიშვნელოვან ვირტუალური გაცვლის პროგრამებში (მაგალითად, UNICollaboration-ის პროექტებში). ამ ამოცანის შესასრულებლად, უნივერსიტეტში არსებობს გარკვეული ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც საწყის ეტაპზე დისტანციური ლექციებისა და ვორქშოფების ჩატარებას ითვალისწინებს, ხოლო შემდგომში, სრული სახით ჩართვას ვირტუალურ გაცვლებში.

3 ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის ხელშეწყობა

გამჭოლი ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის ძირითადი პრინციპების დანერგვასა და განხორციელებას სტუდენტების, პროფესორისა და ადმინისტრაციის დონეზე. შესაბამისად, აუცილებელია, ინტერნაციონალიზაციის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობა, უცხოური ენის (ამ შემთხვევაში, ინგლისური ენის) კომპეტენციის თვალსაზრისით, დაცული იყოს. ამ კუთხით აუცილებელია რიგი პროგრამების ამოქმედება, რაც ამ მიზანს მიღწევად გახდის.

ქართულენოვან პროგრამებში ინგლისური ენის კომპონენტის გათვალისწინება/გაზრდა

ქართულენოვან პროგრამებში ინგლისური ენის კომპონენტის გათვალისწინება/გაზრდა შესაძლებელია სილაბუსების ნაწილში ინგლისურენოვანი ლიტერატურის/რესურსების გათვალისწინებისა და აქტიური გამოყენების, სალექციო/სასემინარო მუშაობის გარკვეული ნაწილის ინგლისურ ენაზე ჩატარების, არჩევითი ინგლისურენოვანი კურსების შემოტანისა და პოპულარიზაციის, სასწავლო კურსის ფარგლებში ინგლისურენოვანი სასწავლო ღონისძიებების ჩატარების, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სასწავლო/კვლევით პროცესში აქტიურად გამოყენების კუთხით. ამ ეტაპზე, ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს საკმაოდ კარგი შესაძლებლობა აქვთ კურიკულუმის ფარგლებში ინგლისური ენის დაუფლების არსებული ინგლისური ენის შესწავლისთვის განკუთვნილი 25 სასწავლო კრედიტისა და 20 თავისუფალი სასწავლო კრედიტის გამოყენების კუთხით. მიუხედავად ამისა, გამჭოლი ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, აუცილებელია ინგლისური ენის უფრო ინტენსიურად ჩართვა აკადემიურ პროგრამებში და არა მხოლოდ ინგლისური ენის კურსების ფარგლებში მათი ლიმიტირება.

ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

ადმინისტრაციის გადამზადება ინგლისურ ენაში

აუცილებელია უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრაციის რეგულარულად გადამზადება ინგლისურ ენაში და ამ მიზნით, შესაბამისი პროგრამების შემუშავება. ინგლისური ენის კომპეტენციის შესაბამისი დონე გაზრდის, როგორც საერთაშორისო სტუდენტების მომსახურების ხარისხსა და მასშტაბს, ასევე საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ადმინისტრაციის წევრების მონაწილეობის შესაძლებლობებს.

ინგლისური ენის პროფესორ-მასწავლებლების რეგულარულად გადამზადება

პროგრამებში ინგლისური ენის კომპეტენციის პროცესისთვის ხელშეწყობის ერთ-ერთი მთავარი აქტორები უნივერსიტეტის ინგლისური ენის პროფესორ-მასწავლებლები არიან, რომელთა რეგულარული გადამზადება მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელია. სწორედ ისინი უნდა წარმოადგენდნენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძალას სხვა სპეციალობის პროფესორთა ხელშეწყობისა და ამ მიზნის მიღწევის პროცესში.

სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობების გაჩენა

უნივერსიტეტმა დამატებითი შესაძლებლობები უნდა შესთავაზოს სტუდენტებს ინგლისური ენის კომპეტენციების გაუმჯობესების კუთხით სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზების, სასწავლო რესურსების მრავალფეროვნების, დიგიტალიზაციის, საზაფხულოს სკოლების, სხვა აქტივობების სახით.